პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 16 თებერვალი 1978 წ. № 40 (17084) ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატები

ზურგაანის რაიონის ხოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში პატივისცემა და ავტორიტეტი აქვს შრომოვებული მევენახეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრს, კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის წინამძღოლს თინა ქიტესაშვილს, რომელიც საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

რესპუბლიკის კომკავშირელთა ფორუმს იგი მოახსენებს, თუ როგორ შრომობს ახალგაზრდობა ყურძნის უხვი მოსავლისათვის. ჩუნლაყში ვაზისათვის დათმობილი 967 ჰექტარიდან 667 სრულმოსავლიანია. შარშან ყოველ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 82 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ 115 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

სურათზე: თ. ქიტესაშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კოლმეურნეობის წინამძღოლი

ბევრი ქვეყნის ძირითად კანონში — სსრ კავშირის კონსტიტუციაში აღნიშნულია: სახელმწიფო ხელს უწყობს იმას, რომ ზრომა გადაიქცეს თითოეული საბჭოთა ადამიანის უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად, ამასთან ახამებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს, ახალისებს ნოვატორობას, მუშაობისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას. ამიტომ არის, რომ ყოველდღე მილიონობით საბჭოთა ადამიანი ხალისით მიდის ფოლადის გამოსადნობად, მადნის მოსაპოვებლად, მანქანების შესაქმნელად, ახალი გზების გასაყვანად; მინდვრებში, ბოსტნეულებსა და ფერმებში გულდაგული შრომობენ სოფლის გამრჯე ადამიანები. ჩვენი თვალწინდენ ქვეყნის ყოველ კუთხეში გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა.

განვითარებულმა სოციალისტურმა საზოგადოებამ აამაღლა შრომის სოციალური ღირებულება და ავტორიტეტი. შრომა საბჭოთა ადამიანის არა მარტო მოვალეობად, არამედ ღირსების საქმედ იქცა. შრომით მოპოვებული ავტორიტეტი ისე არსად ფასდება, როგორც ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში. შრომით მოიპოვეს ავტორიტეტი და საკოლმეურნეო ცხოვრების ლეგენდარულ გმირებად იქცნენ ზემოქმედელ კობა ჩოხელი და ოქუმელი გრიგოლ ჯაუბურია. ყაირათიანი, საქმის ერთგული დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითს იძლევა ნოიელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე. მან შრომლიერსა სოფლის პატივისცემა, სიყვარული და ავტორიტეტი ყოველდღიური უანკარო შრომით, მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით მოიპოვა. ამიტომ არის, რომ მას სოფელში ყველა ენდობა, მისი სჯერათ: ამითაც აიხსნება, რომ ზემო ქედის კოლმეურნეობა თანამედროვე დიდად განვითარებული საზოგადოებრივი მეურნეობაა.

თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის აღიარებული წინამძღოლის სახელი და ავტორიტეტი შრომით მოიპოვეა მეხარაძის რაიონის შრომის, ძიმითისა და ნატანების, წითელწყაროს რაიონის ჯიფარიძის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა მ. ორაგველიძემ, ს. მუხაშავრიამ, გ. წითლიძემ, ნ. ყოჩიაშვილმა და ბევრმა სხვამ.

საკოლმეურნეო სოფლის ცნობილი წინამძღოლთა სანაქებო საქმეები მომდევნო თაობის ხელმძღვანელთათვის კარგი მაგალითია. დღეკანდელ სოფელს, კოლმეურნეობას სჭირდება სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ცოდნით შეიარაღებული, ხელმძღვანელის უტყუარი ალღოს მქონე, საზოგადოებრივი საქმიანობის კარგი ორგანიზატორი, ყოველთვის გულმხურვალედ შემართული კომუნისტი წინამძღოლი. ასეთები დღეკანდელ სოფელში ცოტა როდია. მათ შორის, ვინც ათეულ წელზე მეტია უნარიანად უძღვება კოლმეურნეობას, უნდა დავასახელოთ ხობის რაიონის ახალბებულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. კეშელაური, ლიენალის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გელაშვილი, გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. უტიაშვილი და ყველას ვერ ჩამოვთვლით.

პრესაში გამოქვეყნდა ცნობა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობა გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა. მათ შორის არის კოლმეურნეობები, რომლებსაც ახალი თაობის თავმჯდომარეები ხელმძღვანელობენ. ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის, ახალქალაქის რაიონის ბურნაშეთის, გორის რაიონის ტყვიავის, ცაგერიის რაიონის ხორშის, ჩხოროწყუს რაიონის ლეხიჭინის, ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები კ. კიკალეიშვილი, ვ. ქორიოანი, რ. ჩიხლაძე, ი. პარკაია, დ. გობეჩია და ა. გოგიბერიძე საქმის ცოდნითა და სიყვარულით უძღვებიან კოლმეურნეობებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, რომ ყველა მეურნეობა რენტაბელური იყოს და თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს ჩვენი რესპუბლიკის საერთო აღმავლობას, რაც უკანასკნელ წლებში ასე საჭიროა.

ზოგიერთი რაიონის პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებენ კოლმეურნეობებში ისეთი დიდი ღონისძიებების განხორციელებას, როგორიც არის მატერიალურ ღირებულებათა ინვენტარიზაცია, წლიური ანგარიშების შედგენა და მათი ყოველმხრივი ანალიზი, რის გამოც მთლიანად არ ვლინდება სამეურნეო წლის ნაკლოვანებები და ხშირად საანგარიშო კრებებს ნამდვილ მაჩვენებლებს ვერ წარუდგენენ ბოლმე. დაბა ქარელის კოლმეურნეობამ შარშან 10 მარტამდე ინვენტარიზაცია ვერ დაამთავრა, საანგარიშოსარჩევნო კრებების ჩატარების ვადები კი 10 თებერვალს ამოიწურა. თიანეთის რაიონში არ იცავდნენ წლიური ანგარიშების შედგენის ვადებს, აჭიანურებდნენ მეურნეობების ხემეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების განხილვას, ზოგან კრებები ფორმალური ხასიათისა იყო. შარშან სუსტი მუშაობისა და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის რესპუბლიკაში ხელახლა ალარ აირჩიეს 37 თავმჯდომარე, ხოლო ოთხი კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობა კრებებზე არადამაკმაყოფილებლად ცნეს.

კოლმეურნეობებში ახლანდელ კრებებზეც გადაირჩიეს თავმჯდომარეები. სუსტი მუშაობისათვის გადაირჩიეს წალენჯიხის რაიონის ჭალის და ზნაურის რაიონის ავნევის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ნ. კვარაცხელია და ვ. მაისურაძე, ხოლო ზოგან გამგეობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ყველგან ყველაფერი წესრიგში ვერ არის. აქვე უნდა დავძინოთ, რომ თავმჯდომარეების ხშირი შეცვლა კოლმეურნეობების საქმიანობაზე უარყოფითად მოქმედებს. ამასთან ცვლილებები ხშირად მთის სუსტძალოვან კოლმეურნეობებში ხდება. ეს რომ არ მოხდეს, თავმჯდომარეთ სპეციალისტთა რიგებიდან საუკეთესოთა შორის საუკეთესონი უნდა შევარჩიოთ. მაშინ ხშირად შეცვლა აღარ დაგვჭირდება.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები, წინა წლებთან შედარებით წლეულს უფრო მაღალ დონეზე მოეწყო. ბევრგან საქმიანი მსჯელობა გაიმართა გახული სამეურნეო წლის შრომითს შედეგებსა და მომავლის ამოცანებზე. კრებებზე ვრცლად ილაპარაკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილზე საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი ხუთწლედის მესამე წლის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. კოლმეურნეებმა მხურვალედ მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომ მომავალ მეცხრე პლენუმზე განიხილონ მეტად საჭირო საკითხი „საქართველოს სს რესპუბლიკაში პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და „სამეურნეოთაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სახოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“. კოლმეურნეობათა გამგეობებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელებმა, მშრომელებმა ყველაფერი უნდა გაკეთონ ამ დადგენილებათა შესასრულებლად.

■

სოფლის მშრომელებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს და თავიანთ წინამძღოლებად კვლავ აირჩიეს გამოცდილი თავმჯდომარეები, ზოგან კი ახალი წინამძღოლები მყავთ. ახლა მთავარია სოფლის ხელმძღვანელებმა შემოქმედებითად იმუშაონ. მეტი ყურადღება მიაქციონ მოწინავე გამოცდილებასა და მეცნიერების მიღწევების დანერგვას. ეს იმას ნიშნავს, რომ იმუშაონ მთელი ძალითა და უნარით, მშრომელთა შეგნებაში უფრო მეტად გაადვილონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთება, იშრომონ ერთიანულად და ყოველდღიურ საქმიანობაში პირადი მაგალითით აღფრთოვანონ კოლმეურნეები. ეს განამტკიცებს სოფლის წინამძღოლის ავტორიტეტს, რაც ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულების ერთ-ერთი მტკიცე გარანტიაა.

საპაჭიო ჯილდოს პასუხად

მიტინგები გარდაჭრაკალი წითელი დროშით საქართველოს დაჯილდოების გამო

რესპუბლიკის მშრომელები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი-ამაღლებისათვის

მაღალი ჯილდო შთაგვაგონებს

რუსთავი. მეტალურგიულ ქარხანაში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოს კოლექტივი დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო სამატიო დაფაზე.

მიტინგი გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა კ. ბაქრაძემ. მიტინგზე გამოვიდნენ ქარხნის დირექტორი ო. სულაძე, პარტენის საამქროს მეფოლადე სოციალისტური შრომის გმირი ო. ლომაძე, საგლინავი საამქროს ოპერატორი რ. გრიგოლავილი, მილსაგლინავი საამქროს პარტბიუროს მდივანი ტ. ლებანიძე, სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსი ე. აბაშიძე და სხვები, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადუხადეს პარტიასა და მთავრობას რუსთაველ მეტალურგთა შრომის ეს-დღეს მაღალი შეფასებისათვის, აღუთქვეს, რომ მომავალში იმუშავებენ უკეთ და უფრო ეფექტიანად იბრძოლებენ სკკპ XXV ყრილობის დიდებულ წინაწარმდასახულობათა შესასრულებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

მშრომელი აჭარის ენთუზიაზმი

ბათუმი, 15 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). ბათუმის გემთსაშენებელ ქარხანაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში მომხდარ ღირსშესანიშნავ მოვლენას — ავტონომიური რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო სამატიო დაფაზე.

მიტინგის გახსნისას პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ბალოგრიძე ილაპარაკა იმ წელილზე, რომელშიც გემთმშენებლებმა შეიტანეს ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა საერთო წარმატებაში.

— ქართველი ხომალდმშენებლები, — თქვა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა მ. ფირცხალაიშვილმა, რომლებსაც ფრთას ასხამს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი გაორმაგონ და გაეფართოონ საბჭოთა კავშირ-ლიბიის ურთიერთობა ყველა დარგში.

საერთაშორისო საკითხების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას. აღინიშნა, რომ ისრაელთან ეგვიპტის ხელმძღვანელობის სეპარატული მოლაპარაკება სერიოზულ ზიანს აყენებს არაბი ხალხების ინტერესებს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, ხელს უშლის ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებას. ამასთან დაკავშირებით ა. ს. ჯელუდმა ლ. ი. ბრეჟნევის გააცნო ამას წინათ ალჟირში გამართული ლიბიისა და მთელი რიგი სხვა არაბული ქვეყნების, აგრეთვე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელთა თათბირის გადაწყვეტილებანი, რომელმაც ტრიპოლის თათბირის გადაწყვეტილებათა განვითარების მიზნით შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ეგვიპტის ხელმძღვანელობის კაპიტულანტურ კურსს და შეაკავშირონ პროგრესულ არაბულ სახელმწიფოთა რიგები.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს არაბული სამყაროს პროგრესული ძალების კონსოლიდაციას და ურთიერთმოქმედებას შედგომ განმტკიცებას ბუნებრივ მოკავშირეებთან — სსრ კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, რომლებიც მათი ბუნებრივი მოკავშირეები არიან ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

აფრიკის რქის რაიონის მდგომარეობის განხილვისას ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ს. ჯელუდმა აღნიშნეს, რომ ამ რაიონში შეიარაღებული კონფლიქტის გაგრძელება იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების ინტერესებს შეესაბამება. მათი აზრით, ეთიოპიასა და სომალს შორის კომფლიქტის ლოკალიზაციისა და ადგილობრივ ტერიტორიულ დავებზე ორმხრივ მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის ფუძეზე ალჟირის, ლიბიის, სუდანის, ეგვიპტის, ადენის ყურეს ხალხებს, ეთიოპიასა და ერითრეას ხალხებს, ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ს. ჯელუდმა „მაყოფილებით დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირლიბიის უმაღლესი დონის შეხვედრები და კონტაქტები საბჭოთა კავშირ-ლიბიის ურთიერთობის კარგი ტრადიცია ხდება და ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და ლიბიის ჯამაჰირიის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ნაყოფიერ განვითარებას.

საუბარმა გულთბილ, ალღითად ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური მიდგომის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი.

ოჩხამურელ მეჩაიეთა სიტყვა

ოჩხამური, 15 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). ოჩხამურის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსან ი. ბ. სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ამ ხუთწლედში მეორედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მოწინავე მეჩაიეობის მეურნეობის კოლექტივმა ენერგიულად თავდადებული შრომით დაიმსახურა ეს მაღალი ჯილდო.

საიუბილეო წლის საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროს ოჩხამურელმა ჩაის ოსტატებმა ბოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 4.879 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი — ჰექტარზე საშუალოდ 10.324 კილოგრამი.

მაგრამ მიღწეული რეკორდული მოსავალი ზღვარი არ არის. ამაზე ილაპარაკეს ამ გამართულ მიტინგზე საბჭოთა მეურნეობის აგროსაეციალისტებმაც და რიგითმა მუშამაც.

— ჩვენ კარგად გვესმის, — თქვა მიტინგზე ჩაის საკავშირო მანქანის „საქართველოს“ მძღოლმა ჯ. სებისკვერაძემ, — რომ ჯილდო ბევრ რამეს გვავალებს. შარშან მე მოვკრიფე 80 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. წელს მოვკრიფ 85 ტონას.

საშობროს მაღალი ჯილდოს პასუხად ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრა საბჭოთა მეურნეობის ყველა მეჩაიემ. სახელმოწვეულმა მკრეფავმა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ო. ხიმშიაშვილმა, რომელიც შარშან მიმღები პუნქტს 24.500 კილოგრამი მწვანე ფოთოლი ჩაბარა, გადაწყვეტა ხუთწლედის მესამე წელს ხელის ამარტაფი მოკრიფოს 25.000 კილოგრამი ფოთოლი. მკრეფავმა ც. ბოლქვაძემ პირობა დადო, რომ მოკრიფს 20.000 კილოგრამ ჩაის — შარშანდელზე 2.200 კილოგრამით მეტს.

(საქინფორმი).

მოსკოვი. 15 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის საყოველთაო სახალხო კონგრესის გენერალური სამდივნოს წევრი, მაიორი აბდელ სალამ ჯელუდი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის საბჭოთა კავშირში.

ხურათზე: საუბრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ა. ს. ჯელუდი

15 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ლიბიის არაბთა სოციალისტური ჯამაჰირიის საყოველთაო სახალხო კონგრესის გენერალური სამდივნოს წევრი, მაიორი აბდელ სალამ ჯელუდი.

ლიბიელ სოციალისტურ შეჯიბრების გამოლის შესახებ, — გაორკეცებული ენერგიით ამუშავებენ და ყველაფერს იღონებენ, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ხუთწლედის მესამე წლის გეგმა და ვალდებულებანი.

გამოდის ამწყობი ზეინკალი, საქართველოს სსრ „მაღალი საბჭოს დეპუტატი რ. ფუტკარაძე. მან თავისი ბრიგადის სახელით საპატიო ჯილდოს პასუხად ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს. მექანიკური საამქროს მრჩევლმა ლ. სერგეევმა პირობა დადო, რომ პირად წლიურ ნორმას გაანაღდებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავისათვის — 7 ოქტომბრისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ქარხნის მთელი კოლექტივისადმი, რომელშიც განსაზღვრულია მეხომალდეთა ახალი საწარმოო მიზნები.

მიტინგზე გაიმართა აგრეთვე ბათუმის მანქანათსაშენებელ, ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებსა და აჭარის სხვა სამრეწველო საწარმოებში, ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

საბაჭოთა რაიონის მეურნეთა 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

წარმოება კულტურისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ყოველნაირად ამაღლების გზით კიდევ უფრო დაიჩქარებენ რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებას და ამ ბაზაზე საზოგადოებრივ სექტორში გაადიდებენ სიმინდის საშუალო ჰექტარობრივ მოსავლიანობას 44 ცენტნერამდე, ბოსტნეულისას — 144 ცენტნერამდე, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულისას — 100 ცენტნერამდე;

აწარმოებენ 22 ათას ტონა სიმინდს გეგმით გათვალისწინებული 15 ათასი ტონის ნაცვლად, 9 ათას ტონა ბოსტნეულს — შარშანდელზე 1.500 ტონით მეტს; ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებას გაადიდებენ 1.100 ტონამდე, აბრეშუმის პარკისას — 26 ტონამდე;

სახელმწიფოს მიჰყიდიან გეგმაზე 1.000 ტონით მეტ სიმინდს, 8 ათას ტონა ბოსტნეულს გეგმით გათვალისწინებული 4 ათასის ნაცვლად;

თითოეულ საფურაეე ძროხაზე საშუალოდ მიიღებენ 2.100 კილოგრამ რძეს, ყოველ 100 ძროხაზე — 81 ხბოს, რაც სამი სულით აღემატება დაგეგმილს;

სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ყოველი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონას გაადიდებენ 267 კილოგრამამდე, რაც 15 კილოგრამით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს;

აწარმოებენ 1.300 ტონა ხორცს — გეგმაზე 340 ტონით მეტს, 3.400 ტონა რძეს გეგმით გათვალისწინებული 3.100 ტონის ნაცვლად;

სახელმწიფოს მიჰყიდიან 2.300 ტონა ხორცს — გეგმაზე 550 ტონით მეტს, 2.900 ტონა რძეს, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 2.500 ტონა;

დაამზადებენ 40 ათას ტონა სილოსს — დაგეგმილზე ორჯერ მეტს, 15 ათას ტონა სენაჟს გეგმით გათვალისწინებული 8 ათასი ტონის ნაცვლად, ორი ათას ტონა თივას;

საგრეხი დავალებებს მრეწველობაში შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის;

გაადიდებენ შრომის ნაყოფიერებას მრეწველობაში ექვსი პროცენტით 1977 წელთან შედარებით; 0,2 პროცენტით შეამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას;

25 დეკემბრისათვის შეასრულებენ საგეგმო დავალებებს ყველა სახეობის ტრანსპორტის მიხედვით, წლიური გეგმის გადაჭარბებით გადაზიდავენ ხუთი ათას ტონა ტვირთს და გადაიყვანენ 50 ათას მგზავრს; 1,5 პროცენტით შეამცირებენ ტვირთზიდვის თვითღირებულებას.

საქონლებრუნვის გეგმას ხემომხმარებლო კოოპერაციაში შეასრულებენ 29 დეკემბრისათვის და მოსახლეობას დამატებით მიჰყიდიან 19 ათასი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელს; საქონელბრუნვის ზრდის ტემპს 1977 წელთან შედარებით ხუთი პროცენტით გაზრდიან;

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმას შეასრულებენ 27 დეკემბრისათვის; 1977 წელთან შედარებით მოსახლეობას გაუწევენ შვიდი ათასი მანეთით მეტი ღირებულების მომსახურებას.

(საქინფორმი).

„სალუტ-6“ — „სოიუზ-27“

ტექნოლოგიური ექსპერიმენტები ორბიტაზე

ფრუნზის მართვის ცენტრი, 15 თებერვალი. (საკდესი). „სალუტ-6“ — „სოიუზ-27“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟმა დაიწყო დაგეგმილი ტექნოლოგიური ექსპერიმენტების შესრულება.

დღეს ფრუნზის პროგრამის შესაბამისად კოსმონავტებმა იური რომანენკომ და გიორგი გრეჩკომ შეასრულეს პირველი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი „შენადნობის“ დანადგარის საშუალებით.

ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე დინამიკური აგმზნების გავლენის შემცირების მიზნით სადგური გადაიყვანეს დრეიფის რეჟიმზე, რომლის დროს ორიენტაციის სისტემის ყველა ძრავა გამორთულია.

კოსმონავტებმა გამოსაკვლევ-მასალებიანი ჯაფსული მოათავსეს ელექტროსახურებელ კამერაში, რომელიც სადგურის სპეციალურ სარაბე ნაკვეთურშია დადგმული. სარაბე ნაკვეთურის განმერმეტიზაციის შემდეგ ამოქმედდა ელექტროგასახურებლის სისტემა. განანგარიშებული დროის მანძილზე დანადგარის სამუშაო ზონაში საჭირო ტემპერატურული რეჟიმი იყო დაცული. გამდნარ ნივთიერებათა კრისტალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა რეგულირებული გაცივების პროგრამით.

ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმების უზრუნველყოფის ყველა ოპერაცია შესრულდა პროგრამული მოწყობილობის დახმარებით.

გაცივების პროცესის დამთავრების შემდეგ ჯაფსულს ამოიღებენ „შენადნობის“ დანადგარიდან.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „სალუტ-6“ — „სოიუზ-27“ კოსმოსური კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს, ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ.

მიფრინავს „კოსმოს-989“

1978 წლის 14 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-989“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— გარშემოვლის საწყისი პერიოდი — 89,5 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 354 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 178 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: ორბიტის ელემენტების ზუსტად გაზომვისათვის განკუთვნილი რადიოსისტემა; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მონაცემებს.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

საქართველოს სკკპ XXXI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ!

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობა გაიხსნება 1978 წლის 17 თებერვალს, დილის 10 საათზე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

პარტიული ცხოვრება

პარგ მეგობლებავით უნდა ვუვლიდეთ

პარტიის რაიკომი და კომკავშრული ორგანიზაციები

ჩვენი ხალინდელი დღე — ასე ამბობენ ხოლმე კომუნისტები ჩვენი კომკავშირის, ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ. და რადგანაც ეგი ხვალინდელი დღეა, ამიტომ, ბუნებრივია, ერთი წუთითაც კი არ შეიძლება მოვიკლოთ პარტიული ზრუნვა და ყურადღება. ტყუილად როდი ამბობენ, პარტიულმა ორგანიზაციამ ახალგაზრდობას და მის საქმეებს კარგ მებაღესავით უნდა მოუაროსო.

პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომისთვისაც კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა უპირველესი საზრუნავია. სწორედ ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე 8-ჯერ იქნა განხილული კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სხვადასხვა საკითხი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რაიკომის ბიურო პერიოდულად უბრუნდება ამ მხრივ ადრე მიღებულ დადგენილებებს და ამოწმებს მათ შესრულებას. მაგალითად, 1977 წლის 4 აგვისტოს რაიკომის ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი: „რაიკომის V პლენუმის დადგენილების — „კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

კომკავშირისადმი სწორი პარტიული ხელმძღვანელობის შედეგად ბევრ შრომითს კოლექტივში მიღწეულია კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და მათი ავანგარდული როლის მნიშვნელოვანი ამაღლება, იკრძნობა კომკავშირული ორგანიზატორული მუშაობის ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების ძიება.

შარშან რაიონის მშრომელებმა სეროიზულ და მეტად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის თითქმის ყველა სფეროში. ამ წარმატებებს განუზომელი ამაგი დასდო ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომელიც მხარს უჭერს და იარაღებს პარტიულ ორგანიზაციათა გადაწყვეტილებებს, სულ უფრო ზშირად გვევლინება ახლისა და სასარგებლო საქმეების წამომწყებად და ინიციატორად.

ახლა რაიონში 207 პირველადი კომკავშირული ორგანიზაციაა, რომელიც თვიანთ რიგებში 22 ათასზე მეტ კომკავშირელს აერთიანებენ. მათი შემოქმედებითი ენთუზიაზმის ნამდვილ დათვალიერებად იქცა გასული საიუბილეო წელი, რომელიც აღსავსე იყო ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტებით. ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების პერიოდში რაიონის პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში ფართოდ გავრცელდა ლენინგრადელთა თაოსნობა „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს 60 დამკვრელური კვირა“. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 20 ათასზე მეტმა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ, რომელთაგანაც 1548 კაცმა ხელი მოაწერა პატაკს. ამის დასადასტურებლად, თუ რა ნაყოფი გამოიღო ამ ინიციატივამ, მარტო იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ რაიონის 820 ახალგაზრდამ ოქტომბრის დღესასწაულისათვის შეასრულა მეათე ხუთწლედის 2 წლის დავალება.

პარტიის მოწოდების შესაბამისად, რაიონის ახალგაზრდობა ფართო და ქმედით მონაწილეობას იღებს წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საქმეში. „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენერგიულ, ინიციატიურ, ენერგიულ, ენერგიულ, ენერგიულ



სახელოვანი გზა

გაიხსნა საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმი

საქართველოს კომკავშირი... უეჭნობი შარავანდედით არის მოსილი მისი სახელი, ნათელი ფურცელი ჩაწერა მან თავისუფლებისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში. მის სათავეებთან იდგნენ რევოლუციის მტკიცე და ნაწრთობი მებრძოლები, ისინი, ვისაც უყოყმანოდ მიჰქონდა საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე.

დღეს არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული. ამის დადასტურებაა საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმი. იგი გაიხსნა 15 თებერვალს საქართველოს კომკავშირის უმაღლესი ფორუმის — საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის გახსნის წინ.

ლენინური კომკავშირის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომკავშირის მეორე განყოფილი გამარჯვებებისა და მიღწევების სახელოვანი გზა მკაფიოდ ასახა მუზეუმის ექსპოზიციაში. აქ წარმოდგენილია რევოლუციური წარსულის ძვირფასი რელიკვიები, მრავალი დოკუმენტი, რომლებიც რესპუბლიკის კომკავშირის საბრძოლო და შრომით გმირობას, პარტიის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში მის შესანიშნავ საქმეებს ასახავენ.

მუზეუმის საზეიმო გახსნაზე მოვიდნენ პარტიისა და კომკავშირის ქალაქი ვეტერანები, ადამიანები, რომლებმაც მთელი ძალონე მიახმარეს ახალი ცხოვრების აშენებას, და ახალგაზრდობა, ღიროსეულად რომ აგრძელებს უფროსთა ათობათა სახელოვან ტრადიციებს.

მუზეუმის გახსნაზე გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ორჯონიკიძე.

საქართველოს პარტიისა და კომკავშირის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარემ, 1921 წლიდან სკკპ წევრმა ბ. ჯაშმა გაჭრა წითელი ლენტი და შეკრებილნი მუზეუმში მიიპატიჟა.

ექსპოზიციის გაცნობა იწყება სპეციალური სტენდით, რომელიც ეძღვნება „სპარტაკელთა“ არალეგალური რევოლუციური მოღვაწეობის ნათელ ფურცლებს, მათ ბრძოლას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. დოკუმენტები და ფოტოსურათები ასახავენ ოცი-ოცდაათიანი წლების კომკავშირელთა შრომითს გმირობას, პირველი კომუნებისა და პირველი ხუთწლედების ახალგაზრდა გმირთა ცხოვრებას. განსაკუთრებული იდგილი ეთმობა დიდი სამამული ომის წლებში საქართველოს კომკავშირის საგმირო საქმეთა სახელოვან ანახა მუზეუმის ექსპოზიციაში. აქ წარმოდგენილია რევოლუციური წარსულის ძვირფასი რელიკვიები, მრავალი დოკუმენტი, რომლებიც რესპუბლიკის კომკავშირის საბრძოლო და შრომით გმირობას, პარტიის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში მის შესანიშნავ საქმეებს ასახავენ.

მუზეუმის გახსნაზე დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. სირაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ა. ელისეევი. (საქინფორმი).

• • •

სურათზე: საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი

რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრი მოედანი — ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი. დღესასწაულების, ღირსშესანიშნავი მოვლენების დღეებში აქ იკრიბებიან თბილისელები, საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლები. და უაღრესად სიმბოლურია, რომ საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის მუშაობის დაწყების წინ მისი დელეგატები— ხუთწლედის ახალგაზრდა გვარიელები, რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები აქ მოვიდნენ, რათა თავიანთი ურყევი ერთგულება გამოეხატათ კომუნისტური პარტიისა და ლენინური იდეალებისადმი.

...დღის 3 საათია. მოედანს „პასიონატას“ ჰანგები მოეფინა. საქართველოს კომკავშირის უმაღლესი ფორუმის დელეგატები, რომელთა შორის არიან რესპუბლიკის მუშათა. კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო ახალგაზრდა წარმომადგენლები, მთელი მოედნის გავლით საზეიმო მარშით მიემართებიან ვ. ი. ლენინის ძეგლისაკენ და გვირგვინით ამკობენ მას. გვირგვინს ალისფერ ლენტზე რუსულად და ქართულად წარწერილია: „ვ. ი. ლენინს — საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატებისაგან“. (საქინფორმი).

კონსტიტუცია მოქმედებს, ცხოვრობს, მუშაობს

ხორციელდება ბინის უფლება

დიდად გაიხარა ლენინის ორდენოსანი „თბილვერიბამშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვიარბგამყვანთა ბრიგადირმა მიხეილ დავითის ძე აღაპიშვილმა: მას საზეიმო ვითარებაში გადასცეს თბილისელი მეტრომშენებლებისათვის გლდანის დასახლებაში აგებული ახალი 8 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სამოთახიანი ბინის ორდერი და გასაღები.

ასეთი 48 ბინიანი სახლის მშენებლობა სახელმწიფოს დაახლოებით 400 ათასი მანეთი უჯდება. მშრომელები კი, როგორც ცნობილია, სახელმწიფოსაგან ბინებს უფასოდ იღებენ. ამასთანავე ჩვენთან მსოფლიოში ყველაზე მცირეა ბინისა და კომუნალური მომსახურების ქირა. მაგალითად, გვირაბგამყვანთა წარჩინებული ბრიგადირის საშუალო ხელფასი თვეში 308 მანეთია. ეს იმით ახსნება, რომ მას ხელფასის დამატებით ეძლევა ნამსახურობის, ბრიგადირობის, ღამის ცვლაში მუშაობის გასამრჯელო. ბინის ქირას კი იგი ორი თვეში სულ 14 მანეთს გადაიხდის, რაც მისი ხელფასის მხოლოდ 4,5 პროცენტს შეადგენს.

თბილისელი მეტრომშენებლები სრულად იყენებენ მათთვის კონსტიტუციით მინიჭებულ ბინის უფლებას. აქ თითქმის ყოველ წელს მწყობრში დგება ორი საცხოვრებელი სახლი, რომლებსაც სამმართველოს კოლექტივი აშენებს თავისი მშრომელებისათვის. 1976 წელს გლდანის დასახლებაში აშენდა ორი რვასართულიანი 48 ბინიანი სახლი, შარშან კი ერთი ასეთი სახლი და 306 აგდგილიანი საერთო საცხოვრებელი ახალგაზრდობისათვის.

მიმდინარე წლის მაისში შესახლება დამთავრება ახალ 48 ბინიან სახლში. ადმინისტრაციამ და პროფკავშირის გაერთიანებულმა კომიტეტმა უკვე განიხილეს იმ მუშებისა და მოსამსახურეების კანდიდატურები, რომლებიც ბინებს მიიღებენ ახალ სახლში. აქ მკაცრად ხორციელდება სსრ კავშირის კონსტიტუციის 44-ე მუხლის მოთხოვნა, რომ საზოგადოებრივი კონტროლი დაუწესდეს საცხოვრებელი ფართობის სამართლიან განაწილებას, ითვალისწინებენ აღრიცხვაზე აყვანილი ყოველი მუშის სტაჟს, რამდენად სამაგალითოა იგი წარმოებაში, შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, და, რა თქმა უნდა, საბინაო პირობებს.

მომდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია ერთი საცხოვრებელი სახლის დამთავრება და მეორის მშენებლობის დაწყება. მეტრომშენებელთა კოლექტივმა განიხილა სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის ministrთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი და გადაწყვიტა შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით მეორე სახლიც ვადამდე, წელს გადასცეს საექსპლოატაციოდ.

ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად მეტრომშენებლები ახლა მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ მეტროპოლიტენის ახალი სადგურების მშენებლობის ტემპის დაჩქარებას. **გაჩაღებულია შეჯიბრება, რათა 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის დაამთავრონ გადასარბენი გვირაბის მშენებლობა „წერეთლის პროსპექტისა“ და „ვაგზლის-გადახვევის“ სადგურებს შორის.** (საქინფორმი).

საკადესი იტყობინება

მსოფლიოს ამბები

ვალდჰაიმი მოუწოდებს

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა მოუწოდა გარდაქმნან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა დემოკრატიულ საფუძველზე, აღმოფხვრან ამ ურთიერთობაში დისკრიმინაცია, დიქტატი და არათანასწორუფლებიანობა.

მიმართვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრებისადმი, რომელიც დაარსებულია ასამბლეის 32-ე სესიის გადაწყვეტილებით, მან ხაზი გაუსვა, რომ ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესების შექმნა შეესაბამება ხალხთა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ხალხთა, სოციალური და ეკონომიკური პროგრესის ინტერესებს, მათი ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას და ვაჭრობის გაფართოებას თანასწორუფლებიან, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე.

ვალდჰაიმმა აღნიშნა, რომ პოზიტიური ცვლილებები საერთაშორისო ასპარეზზე, უწინარეს ყოვლისა დაძაბულობის შენელება, ხელშემწყობ ხაფუძველს უქმნიან საერთაშორისო საქმიანი თანამშრომლობის განვითარებას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ინტერესებისათვის. მშვიდობა და აუვავება, თქვა მან, ყველა ხალხის ძირითადი უფლებებია. ამიტომ ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესების შექმნა სამსახურს გაუწევს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის საქმეს მსოფლიო მასშტაბით.

ამაოდ დაშვრა

ქაირო, 14 თებერვალი. (საკდესი). ეგვიპტის ეროვნულ-პროგრესული (მემარცხენული) პარტიის თავმჯდომარემ ჰ. მოხი ედ-დინმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო, ეგვიპტის გაზეთ „ალ-ახალის“ ფურცლებზე განაცხადა, რომ სადათი ამაოდ დაშვრა: მისმა ეგრეთწოდებულმა „სამშვიდობო ინიციატივამ“ გაგება ვერ პოვა შეერთებული შტატების არაბულ წრეებში.

ბევრს, წერს მოხი ედ-დინი, არ ესმის, თუ რას გულისხმობს სადათი „მოწესრიგებად“, ცნობილია, რომ პრობლემის ჭეშმარიტ გადაჭრას ვერ მიაღწევენ ეგვიპტე-ისრაელის პოლიტიკური და სამხედრო კომიტეტების ფარგლებში მოლაპარაკების განგრძობის გზით. ამისათვის არსებობს საერთაშორისო ორგანო — ჟენევის საზავო კონფერენცია, რომელიც შეიძლება მოწვეულ იქნეს მხოლოდ არაბთა სოლიდარობის აღდგენის შემთხვევაში და საბჭოთა კავშირის შემწეობით.

აანალიზებს რა ამერიკის შეერთებულ შტატებში დამთავრებული ვიზიტის შედეგებს, „ალ-ახალი“ ხაზს უსვამს, რომ სადათმა ვერ მიაღწია საწადელს: შეეპირებინა ამერიკის დახმარება ისრაელის „შეგონებაში“ და მიეღო თანამედროვე იარაღი.

შეხვედრა ჰავანაში

ჰავანა, 15 თებერვალი. (საკდესი). კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო შეხვდა აქ მყოფ პარაგვაის კომპარტიის თავმჯდომარეს ანტონიო მაიიდანასა და პარაგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს ალფრედო ალკორტასა და ხულიო როხასს. საუბრის დროს, რომელიც ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, პარაგვაის კომპარტიის ხელმძღვანელებმა ფ. კასტროს უამბეს ქვეყნის პროგრესული და დემოკრატიული ძალების მიმართ სტრესნერის რეჟიმის ბოროტმოქმედებათა შესახებ, აგრეთვე საძულველი დიქტატურის წინააღმდეგ პარაგვაელი პატრიოტების ბრძოლაზე.

დაძაბულობა ლიბანში

ბეირუთი, 14 თებერვალი. (საკდესის კორ.). ლიბანის დედაქალაქის აღმოსავლეთ რაიონებში კვლავ შფოთინანი ვითარებაა. ისევ დახუოულია ბევრი მაღაზია, დაწესებულება და ბანკები, არ მუშაობს სკოლები.

წუხელ ღამით სპორადული სროლა ისმოდა. გახშირდა მძეულების გატაცების შემთხვევები და ტერორისტული აქტები. კონსერვატიული ძალების სამხედრო ნაწილები კვლავ ინარჩუნებენ მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს. აღინიშნება „კონსერვატიული „ლიბანის ფრონტის“ შეიარაღებული პატრულების რიცხვის საგრძნობი გადიდება.

სრბილ ჯარები, რომლებიც ლიბანში არაბულ სახელმწიფოთა მშვიდობის დამცველი ძალების შემადგენლობაში შედიან, ახორციელებენ ვითარების ნორმალიზაციის შემდგომ ღონისძიებებს, რაც, როგორც ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, შეესაბამება მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სურვილს.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს დაძაბულობის შემდგომი ესკალაცია სამხრეთ ლიბანში, სადაც კონსერვატიულმა ძალებმა ისრაელის მხედრიონის აქტიური მხარდაჭერით ომის განმავლობაში იერიში მიიტანეს ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიციებზე პრაქტიკულად ცენტრალური და დასავლეთი სექტორების მთელ ტერიტორიებზე. ისრაელის არტილერია მრავალი საათის განმავლობაში ციცხლს უშენდა დასახლებულ პუნქტებს არკუნის, ნაბათიისა და მარჯაიუნის რაიონში. მშვიდობიან მოსახლეობას შორის არიან დახოცილნი და დაჭრილნი. ისრაელის სამხედრო კატარელებმა გუშინ საღამოს დაარღვიეს ლიბანის ტერიტორიული წყლები რას ან-ნაკურის რაიონში, მაგრამ ისინი უკუაქციეს სანაპირო არტილერიის ცეცხლით. სისტემატურად ჯამოდიან რა ლიბანის ტერიტორიაზე, ისრაელის ჯარებს ტყვედ მიჰყავთ ლიბანის მოქალაქენი და მასობრივ ჩხრეკას აწარმოებენ საზღვრისპირა სოფლებში.

ბეირუთის გაზეთი „ალ-ანფაბ“ „ალ-არაბი“ აღნიშნავს ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის სპეციალურ როლს, რომელიც თვისი განცხადებით, თანმიმდევრულად მოუწოდებს განაახლონ შეიარაღებული შეტაკებანი ლიბანში.

მკაცრად გმობენ

დამასკო, 14 თებერვალი. (საკდესი). პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, ემყარება რა თავის პროგრამას და ხელმძღვანელობს პალესტინის ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებებით, ადასტურებს თავის უაღრესად უარყოფითს დამოკიდებულებას ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის სადათის პოლიტიკისადმი და გამოთქვამს მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძოს ბრძოლა პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა აღდგენისათვის, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც მიღებულ იქნა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ არავის აქვს უფლება გამოდიოდეს პალესტინელი ხალხის სახელით, გარდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისა, რომელიც მისი აღიარებული წარმომადგენელია. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო გადაჭრით უარყოფს იმპერიალიზმისა და სიონიზმის ხრიკებს ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში, ხრიკებს, რომელთა მიზანია განვითარებადი ქვეყნები დაუმორჩილოს ამერიკის მონოპოლიების ბატონობას. დოკუმენტში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ საჭიროა ყოველმხრივი თანამშრომლობის გამმტკიცება და განვითარება და მოქმედების კოორდინაცია პროგრესულ არაბულ სახელმწიფოებსა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრი საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

ქვეყნები და კონტინენტები

მსპანეთი დღეს

ამ სურათებზე ესპანეთია ასახული. ზემოთ ხედავთ ქვეყნის დედაქალაქის — მადრიდის ერთ-ერთ მოედანს; ქვემოთ მარცხნივ — „ბავშვები ყველანი ბავშვებად რჩებიან“; თეგზით ვაჭრობა ესპანეთის ზღვისპირა დაბებში მცხოვრები ქალების ტრადიციული საქმიანობაა. ქვემოთ მარჯვენა სურათზე სწორედ ასეთი სცენაა წარმოდგენილი.

ჩტკ-კამერა პრეს-სკკდესის ფოტო.

ფრონტალურ ნეიტრალიტეტს

ვენა, 14 თებერვალი. (საკდესი). ავსტრიის ფედერაციული რესპუბლიკის ... ...

შემოქმედი ახალგაზრდობა — სამშობლოს!

სიჭაბუკე და ლექსი ერთია

ამას ბრძოლაგადახდილია ჩვენი კომკავშირი. რა ქალაქები უშენებია — დანგრეული, მიწასთან გასწორებული; რა ბარაჩოები აუგია, რომ მზემდის მისულიყო გმირული სახელი ჩვენი ბომავალი თაობისა. სამართლიანად ამშვენებს მის მკერდს სამშობლოს მადალი ჯილდოები. დღეს კომკავშირი ის ლამპარია, რომლის მეოხებითაც გზას იკვლევს ჩვენი ახალგაზრდობა.

ქართველ შემოქმედთა თაობებს აუსახავთ ჩვენი კომკავშირის საქმენი, დაუხატავთ მათი თავდადებული შრომის სურათები. მხატვრული სიტყვით შეუსახამთ ხორცი მათი მადალი, ზნეობრივი იდეალებისათვის.

რაც ჩემი თავი მახსოვს, კომკავშირი და მწერლობა, ერთი გულისთქმითა და ოცნებით, ერთი ფიქრითა და ერთი მიზნით არის შეკავშირებული. ხოლო დღევანდელი განსაკუთრებული სიახლოვე და მთიოლითურობა ახალახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაუფლების საწინდარია. უთუოდ გვჯერა და გვწამს, რომ ბადამწყვეტ ჟამს, ხატოვნად თუ ვიტყვით — ყოფნა არ ყოფნის ჟამსაც კი ჩვენი შემოქმედი ახალგაზრდობა ერთგულების გზას აირჩევს და ხმამაღლა თქვა „სიმღერას ქვეყნის გადარჩენისას".

დღეს, როცა ასე ერთობლივი და შეუპოვარი ნგრევაა დრომოჭმულისა და უდღეურისა, როცა ერის ისტორიის ბორბალი კვლავაც სასიკეთოდ ბრუნავს, ახალგაზრდა კაცის შემოქმედება ახალი საბჭოთა საქართველოს პოეტური მატიანე უნდა იყოს. მან თაობებს უნდა გადასცეს ჩვენი - შრომისა და შემოქმედების გმირული ტრადიციები. მან უნდა დაამყაროს უწყვეტი კავშირი დღევანდელსა და ხვალინდელს შორის.

ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედის წინამე დღეს განსაკუთრებით რთული ამოცანებია დასახული, მათი განხორციელებისათვის ბრძოლას მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და პასუხისმგებლობა, ღრმა მეცნიერული აზრი, ცოდნა და ენერგია სჭირდება. დაუვიწყარი დღეები ჰქონდათ ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს ამ წლის დამდეგს მოსკოვში. ქართული ლიტერატურის საბჭომ, გამოჩენილი მწერლისა და მოღვაწის კონსტანტინე სიმონოვის ხელმძღვანელობით განიხილა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები, ეს იყო პირველი განხილვა, რომელმაც მზესავით ნათელი გახადა ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის შემოქმედება. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების საბჭომ „კომუნისტის" დღევანდელი ნომრისათვის მოამზადა განყოფილება, სადაც იბეჭდება ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებები. ზაზა სიხარულიძე სრულიად ახალგაზრდაა, აგერ გუშინ დატოვა სკოლის მერხი. მანანა ჩიტიშვილი ლენინგორიდან ეწვევა ხოლმე „ცისკარს", ირაკლი ბაზაძე ჩვენი სავარდო ქუთაისის ღვიძლი შვილია, იგი უკვე პირველი წიგნის ავტორი გახლავთ. პაატა ნაცვლიშვილსა და ამირან ახობაძესაც არაერთხელ შეხვედრია დაინტერესებული მკითხველი პრესის ფურცლებზე. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ერთი უდიდესი და უძირფასესი საერთო აქვთ, ეს გახლავთ სურვილი, რათა კარი შეხსნან დიდი ლიტერატურისა.

ხელი შევუწყოთ, წავახალისოთ კიდევაც, ისინი სამშობლოს უმღერიან, სიყვარულს უმღერიან, სევდაც თავიანთი აქვთ, სახარულიც, ნელია მათი სალამური, ომედი უნდა ვიქონიოთ, რომ თანდათან უფრო დაიწმინდება და გაწკრიალდება ხმა მათი სასიმღერო.

ჯანსუღ ჩარკვიანი,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატი.



თბილისი. საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმი. სურათზე — მოსავარი ბარელიეფი.
ვლ. გინზბურგის ფოტო.

არ გავუდგები შენს დღეებს განზე

იმ ცეცხლს...
ვერავინ
ბღალავს და მიქრობს
და ღვივის, ღვივის
ასე ძალიან,
შენს სიყვარულზე
მე იმდენს ვფიქრობ
რომ სხვა ფიქრისთვის
აღარ მცალია.
ან რატომ
უნდა ვიფიქრო სხვაზე,
როცა ეს სული
ღიმილით მორწყე...
არ გავუდგები
შენს დღეებს განზე,

არ ვეყოლები
უბრალო მოწმე.
მე კარგად ვიცი
რა ცეცხლიც გათბობს,
რა ხმაზეც აწყობ
ჩონგურის სიმებს...
გზადაგზა,
შენი ღიმილი კარგო
მე მაძლევს
მეტი შეძლების იმედს.
თუ ამ მთებს,
ამ ზღვებს
და ზღაპრულ ტყეებს
ვერ შევატოვე
თვალები ღიად,

მამულო,
მაშინ ამ ლამაზ დღეებს —
უქმად ჩავლილი
დღეები ჰქვია.
იმ ცეცხლს...
ვერავინ
ბღალავს და მიქრობს
და ღვივის, ღვივის
ასე ძალიან,
შენს სიყვარულზე
მე იმდენს ვფიქრობ,
რომ სხვა ფიქრისთვის
აღარ მცალია.

ამირან ახობაძე.

ხარ ვენახი დალოცვილი

სამშობლოო, ოცნებაშიც შენისთანა მზე ვერ ვნახე,
ხარ ვენახი დალოცვილი და მე ვინმე მეევნახე.
მოგივლი და — ამაშენებ, არ მოგივლი — ვაი ჩემს თავს,
უწმიდესი სავანისკენ სიკვდილი გზას ჩამოკეტავს.
უკვდავების ლურჯ სიმბოლოს — მუხას ჩრდილო ჭარი არხევს,
და იმედის ფოლიანტებს ვფურცლავ, როგორც სულის არქივს.
სიყვარულო, ოცნებაშიც შენისთანა მზე ვერ ვნახე,
ხარ ვენახი დალოცვილი და მე ვინმე მეევნახე.

ზაზა სიხარულიძე.

ოღონდ ააგე!

...დამიბრეს, მკლავი მომბრეს,
რაღომ კარბი აგიგია.
ხალხური.

რა მოხდა, მკლავიც მოგკვეთონ თუნდა,
შენ უნდა მაინც ააგო ხიდი
და ააშენო ტაძარი უნდა,
სვეტიცხოველზე გაძძლე და დიდი.
ოღონდ ააგე! რა არის ძკვლავი,
როცა ეპოკა მოითხოვს თავს.
შენ ნუ იქნები საბრალო კოავი,
რომელსაც ვიღაც სანთლებით რთავს.
რა ხოხდა, მკლავიც მოგკვეთონ თუნდა,
უნდა შეერიგო ათასი ამწე
და ააშენო ქალაქი უნდა
ყველა ქალაქზე დიდი და გამძლე.
დროზე! სუფველ კარი გაალე,
მე ეს ლოდები მტკაჭავს და მკლავს.
ოღონდ ააგე, ოღონდ ააგე,
შენ დღეს არავინ არ მოგკვეთს მკლავს!

პაატა ნაცვლიშვილი.

ქარაჯისელა

აუგლიცილტური პოემიდან

დაეპატრონე საკუთარ ტკივილს,
როგოროც საკუთარ ბედელს და ყანას,
ის არის,
მაგრამ რატომღაც გტკივა,
რომ ალარ არის შენს გვერდით თანაც.
ის არი ქვაშიც,
თიხაშიც,
გულძიც,
ამაყ ბზერაძიც,
ფიქრშიც,
დავაშიც,
ის სიმართლეა
კეთილიც,
კუშტიც,
ის სიხათლეა შენს მომავალში,
ის სხეულია ლოის მართალი
გრანტის მკერდთ,
შუბლით,
ბეჭებით,
მისი ღიმილი მზეს დაატარებს,
მზეს,
რასაც ასე ვგრძნობთ და ვეჩვეთ.
მისი სახელით ცას ვეხეზნეთ
კოსმიურ სივრცის გადამლახველნი,
მისი სახელით რწმენა ფხიზელი
დაგვაქვს და...
ვკვდეთ...
მისი სახელით.
დაბარბაცებენ ჯერ გუშინდელი
ქალაქები და კოსმოდრომები,
ხროიკ ყამრებს, წყლით არწყულებენ
არხთა ვეება არტერიებთ.
ცას წვდება მხრებით ქვის კახკადები,
ძკერდს ულეღავენ ლურჯ ცას ბალები.
გინდა სიმღერა?
რკინის ყვავილებს
სუნი აქვთ მძაფრი და მახლობელი.
და ჭაბურღილთა ხშირი ტყეები
ამსტრაქტულ შტოებს აშრალებენ.
უზარმაზარი რეაქტორების
განფენილია სული ზვიადი.
მთვარეს ეხება ცივი ფარფლებით
კაცის კოშმარულ სულის მოდელი —
მძლე რაკეტები.
უკვე ბერდება ცის რომანტიკა.
ხელშესახები გახდნენ ღმერთები,
მაგრამ სიცოცხლე არის ჭაბუკი
უუსახარულო გზით მომავალი.
მას კი თავისი აქვს არჩევანი,
გადაარჩინოს სულიც, სხეულიც,
და შეიმოსოს თბილი სამოსით
როგორც უმწეო ბარტყი ბუმბულით.

ირაკლი გაზაძე.

საღამურები

1. ბაბაჩქი და სალამურები

საწყალ პაპაჩემს
სალამურის გათლა უყვარდა,
თხოვნით მეტყოდა:
გამომართვი, დაუკარ, შვილო,
კვლავ გამახსენე,
რა ფერის მზე იცის მუხრანთან,
გრძელი ნაბადი, ლურჯი მთები
და ლილო-ჭრილო.

ბალღივით არი ეგ ტიალი,
ბალღივით არი...
სადღა ეტევა ამოდენა
დარდი და ხევდა...
ცრემლს ვერ იჭერდა
დაშრეტილი მარცხენა თვალი
და მელოდიას
მოცაცახე თითებით რევდა.

და მერე,
როცა დასასრულმა უწია ზღაპარს,
როცა დაქანდა თავდაღმართზე მისი ურემი,
თბილი ღიმილი შერჩენოდა
ულვაშთან პაპას
და ბალღებივით წიოკობდნენ
სალამურები.

2. ძმე ამიმღერე

ჩაებმებიან დუელში მთები,
გადაეჯდობენ ელვის რაპირებს...
მზე ამიმღერე, თუ შეგიძლია,
ამ სალამურებს რისთვის ატირებ.

მზე მომიტანე იმ სახოებით,
როგორც კახელი ჰჭრის აკიდოს,
რომ ყველა სახლში,
ვინც კი მარტოა,
კოცონებივით ჭერზე დავკიდო.

რომ მოფერება ვასწავლო ხელებს,
რომ სიყვარული გასცდეს ნაპირებს...
მზე ამიმღერე, თუ შეგიძლია,
ამ სალამურებს რისთვის ატირებ.

მანანა ჩიტიშვილი.

პრეტენდენტთა ფინალური...

მეცხრე კარტია

ყაიმი 61-ე სვლაზე

წუხელ „კომუნისტის" რედაქცია კვლავ დაუკავშირდა ბადკინსენგენს. ტელეფონთან მოვიდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის სეკუნდანტი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე:

— ანალიზმა ცხადყო, რომ მაიას პოზიცია მძიმე იყო. ამის მიუხედავად, მოინახა გარკვეული ტაქტიკური შესაძლებლობები, რაც კუშნირს ამოცანას ურთულებდა.

როგორც პარტიის განახლებისას გამოირკვა, კუშნირმა ჩაიწერა უძლიერესი ხვლა, მაგრამ შემდეგში მცირეოდენი უზუსტობა დაუშვა. მაია, პირიქით, შესანიშნავად თამაშობდა. მან კუთი საიმედოდ დაიცვა თავისი სუსტი პაიკი ლაზიერის ფრთაზე, რომლის დათმობა პარტიის წაგებას ნიშნავდა. კუშნირის ცენტრალური გამსვლელი პაიკი საიმედოდ დამუხრუჭდა. ამასთანავე მაია ეტლით შეიჭრა მეტოქის ბანაკში და კუს იზოლაციის მუქარა შეუქმნა. კუშნირის უპირატესობიდან აღარაფერი დარჩენილა. იგი 58-ე სვლაზე იძულებული გახდა ზედმეტი პაიკი დაეთმო, ხოლო 61-ე სვლაზე სრულიად თანაბარ პოზიციაში აღინიშნა ყაიმი.

თქმა არ უნდა, პარტიის დაბოლოება მაია ჩიბურდანიძემ საუკეთესოდ წარმართა.

პარტია, როგორც მოგეხსენებათ, გადადებული იყო ასეთ პოზიციაში:

თეთრები: კუშნირი — მფd1, ეc6, კg3, პ.პ. c4, e3, f2, g2 (7).

შავები: ჩიბურდანიძე — მფf5, ეa5, კf6, პ.პ. c5, f7, g4 (6).

პარტია ასე გაგრძელდა: **41. e4+ მფg5 42. e5 კd8 43. ეc8 კb6 44. მფc2 მფf5 45. ეb8 ეa6 46. ეb7 მფe6 47. მფd3 კd8 48. ეb8 ეe7 49. ეg8 ეa3+ 50. მფc2 f5 51. ეg6+ მფf7 52. ეc6 ეa2+ 53. მფb3 ეe2 54. e6+ მფg6 55. მფc3 ეe4 56. კb8 ეe2 57. კg3 ეe4 58. f3 gf 59. gf ეe3+ 60. მფd2 ე:f3 61. ეe5 f4.** ყაიმი.

ამრიგად მატჩის ანგარიში გახდა 5,5:3,5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. დღეისათვის დანიშნულია მეათე პარტია. თეთრებით ითამაშებს მაია ჩიბურდანიძე.

მოკლედ

ყაზანში ხტომა. ედანოვის „ნეფტუნის" აუზში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე გამართულ შეჯიბრებებში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გასარჯვებულმა ელენე გორინამ (სარატოვი) და ერეკვნელმა დავით ამბარცუმიანმა (10-მეტრიანი კოშკი) წარმატება მოუტანეს „დინამოს" გუნდს. ამათ გარდა კომკიდან ხტომა მონიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ელენე ვაიცეხოვსკაიამ (შეიარაღებული ძალები), ხოლო ტრამპლინიდან — მინსკელმა ა. კოსენკოვმა („სპარტაკი").

რეიკიავიკის საერთაშორისო

რეიკიავიკში (ისლანდია) მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი 10 დიდოსტატისა და 4 ოსტატის მონაწილეობით. ასპარეზობაში ჩაება ორი საბჭოთა მოჭადრაკე — ლ. პოლუგაევსკი და გ. კუზმინი. რეიკიავიკის ასპარეზობას ზოგი დიდოსტატი უყურებს როგორც თავისებურ მზადებას ბუენოსის (იუგოსლავია) უდიდესი საერთაშორისო ტურნირის წინ, რომელიც 26 თებერვალს იწყება.

8 ტურის შემდეგ ჩინებული შედეგით — 6,5 ქულით პირველ ადგილზეა ცნობილი დიდოსტატი ბ. ლარსენი (დანია). მან პირველ ტურში დაამარცხა გ. კუზმინი, მეორეში წააგო ფ. ოლაფსონთან (ისლანდია), მომდევნო 6 ტურში კი 5,5 ქულა მოაგროვა. 5,5 ქულით მეორე ადგილზეა დიდოსტატი ე. მაილსი (ინგლისი). ლ. პოლუგაევსკის 4,5 ქულა აქვს, გ. კუზმინს — 3 ქულა.

ჩოგბურთი

დაიწყო მეოთხედფინალები

ტალინის ხის კორტებზე დაიწყო საკავშირო ტურნირის მეოთხედფინალური შეხვედრები. თბილისელმა ა. მეტრეველმა დამარცხა კიეველი ბ. ბუზმაკოვი — 6:4, 6:4. მოსკოველმა ვ. ბორისოვმა თანაქალაქელი ვ. კოროტკოვი — 6:2, 6:4. სპეციალისტთა აზრით ყველაზე დაძაბული ალმოჩნდა რ. ახმეროვი (ბაქო)-ე.ბობოედოვისა (როსტოვი) და კ. პუგაევ (მოსკოვი)-ი. ფილიოვის (დონეცკი) ასპარეზობანი. გაიმარჯვეს ახმეროვმა (3:6, 7:5, 12:10) და პუგაევმა (7:6, 7:6).

ქალთა შორის საინტერესოდ წარიმართა ე. გიმიანის (ბაქო) ორთაბრძოლა ნ. ბოროდინასთან. გიამარჯვა ბაქოელმა — 7:5, 6:3. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ე. გრანატუროვა (მოსკოვი)-ზ. ივანოვა (რიგა) — 6:2, 6:3; ნ. ჩჩარიოვი (მოსკოვი)-გ. ბაკშეევი (ბაქო) — 6:2, 6:2; ე. ბირიუკოვი (მოსკოვი)-ი. შევჩენკო (რიგა) — 6:4, 6:1.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ

ცხინვალი. (ხაკ. კორ.). ისინი ერთდროულად მოვიდნენ საწარმოში და პატიოსანი, ენერგიული შრომით ყველას თავი შეაყვარეს, ოცდაათი წელია კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. და აი წარჩინებულ ადამიანებს — სამხრეთ ოსეთის კავშირგაბმულობის საწარმოოტექნიკური სამმართველოს ინჟინერს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერს ალ. კოზევსა და ცხინვალის საქალაქო კავშირგაბმულობის რადიოფიკაციის უფროს ტექნიკოსს გ. ფლიევს დაბადების 50-ე და შრომითი საქმიანობის 30-ე წლისთავის იუბილე გადაუხადეს.

მათ შრომითს საქმიანობაზე ილაპარაკა სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ლ. გასიევმა. იუბილარებს სიგელები და პრემიები გადაეცათ.

გ. თედეევი.

მთის სოფლებში

ჭიათურა. 13 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). ხიდითში, გეზრუულსა და მთის სხვა სოფლებში ჩავიდა ექიმთა ბრიგადა, რომელიც შეიქმნა სასახლო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში. თერაპევტები, ქირურგებისა და პედიატრებისაგან შემდგარმა ბრიგადამ 400-ზე მეტი კაცი გასინჯა. იმათ, ვისაც ეს სჭირდებოდა, დაუნიშნეს აბებულაბორატორიული მკურნალობა. კენიმბა დაათვალიერეს სამედიცინო პუნქტები, აფთიაქები, ისაუბრეს ახალი სამედიცინო პრეპარატების გამოყენების შესახებ და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სხვა აქტუალურ საკითხებზე.

კვალიფიციური მედიკოსების ასეთი გასვლები მთის სოფლებში რეგულარულად ეწყობა.

ეხმარებიან ავიატორები

ზესტაფონი. შირაკში მწყობრში ჩადგა ასოფლო-სამეურნეო ავიაციის თვითმფრინავების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აეროდრომი.

მფრინავები ე. აბდულაევი, ა. ხოდანოვიჩი, ჯ. ბეგიალოვი და სხვები დღეში აზოტოვან სასუქებს ასხურებენ საშემოდგომო კულტურების 250-300 ჰექტარ ნათესებს სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობებში, ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებას.

რაიონში მიმდინარეობს ორგანული სასუქების შეტანის ერთთვიური. ამ სამუშაოებს ასრულებს 20-ზე მეტი სპეციალური რაზმი, რომელთა განკარგულებაშია ტრაქტორები, სატვირთო მანქანები და სხვა ტექნიკა.

(საქინფორმი).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

16 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრომა" — ხალხთაშორისო ბრიგადა (მოსკოვიდან), 09.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დაბინდული სიჭაბუკის გარიჟრაჟზე", 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.45 — უმცროსკლასელთათვის — რუსული ენა, 18.15 — კინოჟურნალი, 18.25 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი ცოდნა, შრომა, შემოქმედება — საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობასა", 18.45 — ახალგაზრდობისათვის — „ჩემი კომკავშირი", 19.35 — კონცერტი „ჩვენ საქართველოს ახალგაზრდობა" (ფერადი), 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — ფრანგული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „შავი პერი", — „სამშობლო გულში". VII სერია. პრემიერა (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „საესტრადო პანორამა" (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — მოწყვლეთათვის — ქართული ენა, 18.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კოშკარი" (ფერადი), 18.40 — განცხადებები, 18.45 — სტუდენტთათვის — მეცნიერებისა და მანქანების თეორია, 19.30 — საბჭოთა არმიის მე-60 წლისთავისათვის — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „1945 წლის ზამთარი და გაზაფხული" (IV სერია), 20.40 — „ლოობუსი" (ფერადი. განმეორებით).



17 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი თანამბრის კანგები", 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — ამინდის ბიუროს ცნობა, 07.32 — „დღეს იხსნება საქართველოს ალკკ XXXI ყრილობა", 07.47 — კომკავშირული სიმღერები, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — სიმღერები საბჭოთა ახალგაზრდობაზე, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მ. ვაინბერგი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ა. შავერზაშვილი. კანტატა „ჩემი სამშობლოს სიმღერები", 11.40 — „კრიტიკა და მიმდინარე ლიტერატურული პროცესები", 12.15 — ვ. დურგლიშვილი. სიმღერები, 12.30 — კონცერტი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწვინავე სტატია, 13.45 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 14.00 — ა. რაქვიაშვილი. მუზეუმი სარკესტრო პიესები, 14.14 — ვ. პანოვა. „სერიოჟა". რადიოდადგმა, 15.00 — „მეგობართა ხმები". გადმოცემა სოციალისტური ქვეყნებიდან, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება" — მ. თომაძის კონცერტი, 17.40 — მოსწავლეთათვის. „კომკავშირელი" — ლექსები, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ი. დუნაევსკი. კინოფილმების მუსიკა, 19.00 — „როგორ გემსახურებიან?", 19.15 — ო. თევდორაძე. სიმღერები, 20.30 — მსუბუქი მუსიკა, 20.45 — „კვლევის მიზანი: შავი ზღვის სანაპიროს დაცვა". რადიონარკვევი, 21.00 — „ძალისპირული", 21.15 — „საერთაშორისო ჟურნალისტიკა. კითხვები და პასუხები" (მოსკოვიდან), 22.00 — კონცერტი „ახალგაზრდული სმენა", 23.30 — ვ. ყანელი მეორე სიმფონია.



16 თებერვალი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — პაემანი ცაში (სპექტაკლი ეძღვნება საქართველოს ალკკ XXXI ყრილობას); მინიატურების სახელმწიფო — ზოგიერთის მზის დაბინელება საქართველოში; ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდია — ლადო კეცხოველი.

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში

18 თებერვლიდან ყოველ შაბათს, 6 საათზე გაიმართება კონსულტაციები სამსახიობო (დრამის, მუსიკომედიის), კინორეჟისურის (მეცნიერულ - პოპულარული ფილმები), თეატრმცოდნეობის (თეატრის საქმეთა ორგანიზაციის, დაგეგმარებისა და ეკონომიკის პროფილით) ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის.

რექტორატი.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 380098 თბილისი-98, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებისა — 99-93-03. 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-56-10. განყოფილებებისა: პარტიული — 99-57-61. პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-53-46, სახჭოთა მშენებლობის — 93-14-70. მეცნიერებისა, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 09944 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14